ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №246/ბ

თბილისი „ 09 " „ ნოემბერი " 2012 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთის მხრივ, **სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო"** (შემდგომში - „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ანა ჩაჩხუნაშვილის სახით და მეორეს მხრივ **შპს „ნილი"** (შემდგომში „მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ჯუღელის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვა, 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1–ით გათვალისწინებული „შემსყიდველის" ტერიტორიული ერთეულების (ფილიალების) საჭიროებისათვის პურის პროდუქტების (შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება 15800000 – სხვადასხვა საკვები პროდუქტები) შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი **3974,16** (სამი ათას ცხრაასსამოცდათოთხმეტი ლარი და 16 თეთრი) ლარად (შემდგომში „ხელშეკრულების საერთო ღირებულება").

2.2. ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქონლის მიწოდების ადგილამდე ტრანსპორტირებისა და მიმწოდებლის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. საქონლის მიწოდების ადგილი, ტექნიკური პირობები, რაოდენობა, ერთეულის და საერთო ღირებულება მოცემულია დანართი N1-ში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების დანართი #1–ით განსაზღვრული ვადებისა და პირობების გათვალისწინებით, დანართი N1–ით გათვალისწინებულ მისამართებზე.

4.2 საქონლის მიწოდების ყოველი კალენდარული დღის მოთხოვნას შესაბამისი საქონლის სახეობის, რაოდენობისა და მიწოდების თარიღის მითითებით ადგენს და წერილობით უგზავნის/გადასცემს მიმწოდებელს შემსყიდველის შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის (ფილიალის) უფროსი, რომლის საფუძველზეც მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის მიწოდება.

4.3. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 4.2. პუნქტის საფუძველზე შედგენილი საქონლის მიწოდების მოთხოვნის შესაბამისად არ განხორციელდა შესაბამისი რაოდენობის საქონლის მიწოდება მოთხოვნით განსაზღვრულ რომელიმე კონკრეტულ კალენდარულ დღეს, მიუწოდებელი საქონლის მიღება შემსყიდველის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე არ განხორციელდება მომდევნო დღეებში და შესაბამისად, ავტომატურად მოხდება

ხელშეკრულების ღირებულების შემცირება მიუღებელი საქონლის ღირებულების პროპორციულად, მიმწოდებელს ასევე დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების 13.1 პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
4.4 საქონლის ყოველდღიური მიწოდებისას დასაშვებია ცდომილება 300 გრამის ფარგლებში მეტობით ან ნაკლებობით.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.
5.2. საქონლის მიღებისას სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო"-ს დირექტორის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი ახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-15 პუნქტის 15.2.1 და 15.2.2 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.
5.3. იმ შემთხვევაში თუ, მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო"-ს დირექტორის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს მიწოდებული საქონლის მიღებას, ხოლო თუ, საქონლის მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ საქონელი ან მისი ნაწილი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ნაკლოვანი საქონელი და დაუბრუნოს იგი მიმწოდებელს მიმწოდებლის ხარჯით.
5.4. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 5.3. პუნქტის საფუძველზე არ განხორციელდა საქონლის მიღება, მიმწოდებელი ვალდებულია იმავე დღეს უზრუნველყოს ნაკლოვანი საქონლის შეცვლა სათანადო ხარისხის საქონლით, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მომდევნო დღეებში საქონლის მიღება შემსყიდველის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე არ განხორციელდება და შესაბამისად ავტომატურად მოხდება ხელშეკრულების ღირებულების შემცირება მიუღებელი საქონლის (შეუსრულებელი ვალდებულების) ღირებულების პროპორციულად, მიმწოდებელს ასევე დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების 13.1 პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
5.5 მიმწოდებელმა, მიწოდების ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა, შემსყიდველს წერილობით უნდა წარუდგინოს საქონლის მიწოდებისას სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო"-ს დირექტორის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი შუალედური ინსპექტირების დასკვნები, ხელშეკრულების 4.2. პუნქტით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების მოთხოვნები, შუალედური მიღება-ჩაბარების აქტები, სასაქონლო ზედნადებები და საგადასახადო ანგარიშფაქტურა (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ-ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).
5.6.ხელშეკრულების 5.5. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. #15ა, სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო".
5.7. ხელშეკრულების 5.5. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების საბოლოო კონტროლს განახორციელებს სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო"–ს დირექტორის შესაბამისი

ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი, რომელიც წერილობითი მომართვის მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში ახორციელებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმებას, ადგენს საბოლოო ინსპექტირების დასკვნას და ხარვეზის არარსებობის შემთხვევაში ახორციელებს მიმწოდებელთან საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას, ხოლო ხარვეზის არსებობის შემთხვევაში საბოლოო ინსპექტირების დასკვნისა და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება განხორციელდება ხარვეზის აღმოფხვრიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების 5.7. პუნქტის შესაბამისად გაფორმებული საბოლოო ინსპექტირების დასკვნის, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ-ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან) საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები:

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს" უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

7.1.2. „შემსყიდველს" მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.3. უზრუნველყოს ნაკლოვანი საქონლის შეცვლა იმავე დღეს;

7.1.4. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება,

7.1.5. დროულად განიხილოს "შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია

7.2.1. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების უწყვეტი დაფარვის პირობებში უზრუნველყოს „მიმწოდებლის" დროული და სრული დაფინანსება.

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2 „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1 აწარმოოს ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი.

8.2.2. უარი განაცხადოს უხარისხო საქონლის მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი

9.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს "შემსყიდველი" არ არის ვალდებული წარუდგინოს "მიმწოდებელს" რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი

მათ შორის ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

12 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, რომელიმე კონკრეტულ კალენდარულ დღეს არ განხორციელდა შესაბამისი რაოდენობისა და ხარისხის საქონლის მიწოდება, მიმწოდებელს თითოეულ ასეთ დღეზე დაეკისრება პირსაგამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

13.2.შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 4%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ერთი მხარის მიერ 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

14.1.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ინსპექტირების პირობები

15.1 ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;

15.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

15.2.1. საქონლის მიწოდების ვადების და მიწოდებული საქონლის რაოდენობის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

15.2.2. მიწოდებული საქონლის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან - ხელშეკრულების დანართი №1-თან შესაბამისობის დადგენა, შუალედური ინსპექტირების დასკვნის მომზადება და შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

15.2.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე საბოლოო კონტროლის განხორციელება, საბოლოო ინსპექტირების დასკვნის მომზადება, მიმწოდებელთან საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.
15.2.4. საქართველოსი მოქმედი კანონმდებლობთ და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.
15.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო"-ს დირექტორის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირები.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.
16.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 4 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება "მიმწოდებელთან", სამი – "შემსყიდველთან".

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო"	შპს „ნილი"
ქ. თბილისი წერეთლის გამზ. №144	ქ. თბილისი, ჭყონდიდელის ქ. №86
სახელმწიფო ხაზინა	მობ: 599 280404
კოდი № TRESGE22	სს „პროკრედიტ ბანკი"
ა/ა № 200122900	ქუთაისის ფილიალი
ს/კ № 202465153	კოდი № MIBGGE22
	ა/ა № 360201011800042
	ს/კ № 200135558
ანა ჩაჩხუნაშვილი	გიორგი ჯუღელი
დირექტორი	დირექტორი

#	საქონლის დასახელება	ტექნიკური პირობები	რაოდენობა კილოგრამებში	ერთეულის ღირებულება (ლარში)	საერთო ღირებულება (ლარში)	მიწოდების პირობები	მიწოდების ადგილი
1	(15811100) პური თეთრი	ახალი გამომცხვარი, 400–600 გრამიანი, დამზადებული პირველი ხარისხის ხორბლის ფქვილისაგან	350,00	1,16	406,00	ყოველ დღე, მოთხოვნის შესაბამისად, 2012 წლის 11 ნოემბრიდან 2012 წლის 09 დეკემბრის ჩათვლით	თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი. მის: თბილისი, ნუცუბიძის ქ. N3
			1080,00	1,16	1252,80		თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატი. მის: თბილისი, თემქის დასახლება, მე–11 მ/რ, მე–2 კვარტალი
			270,00	1,16	313,20		კოჯრის ბავშვთა სახლი. მის: დაბა კოჯორი, სტალინის ქ. N17
			247,00	1,16	286,52		კოჯრის შშმ ბავშვთა სახლი. მის: დაბა კოჯორი, რუხაძის ქ. N10
			728,00	1,16	844,48		დუშეთის შშმპ პანსიონატი. მის: დუშეთის რაიონი, სოფ. პირმისაანთკარი
			435,00	1,16	504,60		თბილისის ბავშვთა კრიზისული ცენტრი. მის:თბილისი, ქერჩის ქ. N4
			130,00	1,16	150,80		რუსთავის დედათა და ბავშვთა თავშესაფარი რუსთავი, ფალიაშვილის ქ. N24.

2	(15811100) პური რუხი (დიაბეტური)	ახალი გამომცხვარი, 400–600 გრამიანი, დამზადებული ჭვავის ფქვილისაგან	186,00	1,16	215,76	ყოველ დღე, მოთხოვნის შესაბამისად, 2012 წლის 11 ნოემბრიდან 2012 წლის 09 დეკემბრის ჩათვლით	თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატი. მის: თბილისი, თემქის დასახლება, მე–11 მ/რ, მე–2 კვარტალი
	სულ ჯამი:				3974,16		

„შემსყიდველი"
სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო"
ქ. თბილისი წერეთლის გამზ. №144
სახელმწიფო ხაზინა
კოდი № TRESGE22
ა/ა № 200122900
ს/კ № 202465153

ანა ჩარხუნაშვილი
დირექტორი

„მიმწოდებელი"
შპს „ნილი"
ქ. თბილისი, ჭყონდიდელის ქ. #86
სს „პროკრედიტ ბანკი"
ჭუთაისის ფილიალი
კოდი № MIBGGE22
ა/ა № 360201011800042
ს/კ № 200135558

გიორგი ჯულელი
დირექტორი